საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 313-03
03/02/2020

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გარე მობილობის წესით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე გადმოსვლის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 1 აგვისტოს N1992-03 ბრძანების მე-6 და მე-7 პუნქტების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1.2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე, ერთ ვაკანტურ ადგილზე გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 11, 12 და 13 თებერვლის ჩათვლით (10:00 საათიდან 18:00 საათამდე) შემდეგ მისამართზე ი.ჭავჭავაძის N32, A303 აუდიტორია

2.რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს (განცხადება ივსება ადგილზე). განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ ფაკულტეტის/სკოლის დასახელება, რომელზეც სტუდენტმა მოიპოვა მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება და იმ სადოქტორო პროგრამის სახელწოდება/მიმართულება, რომელზეც სურს ჩარიცხვა. რეგისტრაციისას დოქტორანტობის კანდიდატს თან უნდა ჰქონდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული სარეგისტრაციო ფორმა (დანართი 1);

ბ) სადოქტორო კვლევითი განაცხადი (დანართი 2), რომელზედაც ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელმძღვანელობის შესახებ დოქტორანტის მიერ წინასწარ შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელი;

გ) იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ძირითად ენად ირჩევს ინგლისურ ენას და არ გადის ინგლისური ენის გამოცდაზე, უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატიდან ერთ-ერთი (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE) ან

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი- Certus, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დ) აპლიკანტმა, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული პროგრამა, უნდა წარმოადგინოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გაცემული დიპლომით არ დასტურდება, რომ აპლიკანტის მიერ გავლილი პროგრამა იყო ინგლისურენოვანი აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დიპლომის დანართი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინგლისურენოვანი პროგრამის გავლის თაობაზე.
ე) ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

ზ) ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 2020 წლის 15 იანვრის შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო პროგრამის დასახელების, და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);

თ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ი)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

კ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

ლ) 2 ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD);

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ბეჭდით;

4. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდნენ ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს/დოკუმენტებს.
5. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ და წარმოადგინეს ამ ბრძანების მეორე პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტი და წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, უცხო ენის B2 დონის გამოცდა ჩაუტარდებათ 14 თებერვალს.

6. ინფორმაცია საგამოცდო აუდიტორიისა და დროის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში".
7. ინგლისური ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 60 ქულა. კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ 60-ზე ნაკლებ ქულას, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას;
8. სადოქტორო საფეხურზე გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველი პირების უცხო ენის გამოცდის შედეგები, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ერთი თვის ვადით, განთავსდება არაუგვიანეს 14 თებერვლისა რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში";
9. ინგლისური ენის გამოცდასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადებით მომართვა მოხდეს 2020 წლის 15 თებერვალს 10:00-დან 14:00 საათამდე, ელექტრონულ მისამართზე phd@iliauni.edu.ge
10. ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული ქულა არ განსაზღვრავს დოქტორანტობის კანდიდატის ერთიან საბოლოო სარეიტინგო ქულას. პროგრამაზე მიღებისათვის კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება კვლევითი განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.
11. სადოქტორო საფეხურზე გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველი პირების ინგლისური ენის გამოცდის შედეგები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2020 წლის 15 თებერვალს, ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში";
12. ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში განხილულ იქნას კვლევითი განაცხადი და მისი შეფასება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2020 წლის 15 თებერვალს, ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში" ;
13. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს 5-ქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით აფასებს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია. სადოქტორო კვლევითი პროექტის შეფასების მინიმალური ზღვარია 3 ქულა. სადოქტორო კვლევითი განაცხადი დარგობრივ კომისიას ეგზავნება ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ.
14. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროექტი დარგობრივი კომისიის მიერ შეფასდება 3-ზე ნაკლები ქულით, კანდიდატი კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას.
15. კვლევითი განაცხადის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 16 თებერვალს 10:00-დან 14:00 საათამდე ელექტრონულ მისამართზე phd@iliauni.edu.ge
16. კვლევითი განაცხადის შეფასება აპელაციის შედეგების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს 2020 წლის 16 თებერვალს, ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში";
17. იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა და კვლევით განაცხადში შეფასებით გადალახეს მინიმალური ზღვარი, დარგობრივი კომისიის მიერ ზეპირი გამოცდა ჩატარდეს 2020 წლის 17 თებერვალს. ინფორმაცია აუდიტორიისა და

დროის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“ განთავსდება 2020 წლის 15 თებერვალს.
18. ზეპირი გამოცდა შეფასდეს ხუთქულიანი სარეიტინგო სკალისა და განსაზღვრული წესის მიხედვით. ზეპირი გამოცდის სამზე ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, კანდიდატი ეთიშება კონკურსს.
19. ზეპირი გამოცდის შედეგები ვებგვერდზე განთავსდეს 2020 წლის 17 თებერვალს, ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.
20. პროგრამაზე მიღებისათვის სადოქტორო კანდიდატის ერთიანი სარეიტინგო ქულა განისაზღვროს კვლევის განაცხადის და ზეპირი გამოცდის კომპონენტებში მიღებული სარეიტინგო ქულების ჯამით.
21. ზეპირი გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 18 თებერვალს 10:00-დან 12:00 საათამდე, ელექტრონულ მისამართზე phd@iliauni.edu.ge
22. განმეორებითი ზეპირი გამოცდა სააპელაციო განაცხადის საფუძველზე, ჩატარდეს შესაბამისი მიმართულების სააპელაციო კომისიის წინაშე 2020 წლის 18 თებერვალს. ინფორმაცია აუდიტორიისა და დროის შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“;
23. კვლევითი განაცხადისა და ზეპირი გამოცდის საბოლოო შეფასებების(აპელაციის შედეგების გათვალისწინებით) სარეიტინგო ქულების ჯამის მიხედვით, ჩასარიცხ კანდიდატთა სია ერთი თვის ვადით, უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, გამოქვეყნდეს **2020 წლის 18 თებერვალს** უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.
24. ჩასარიცხი კანდიდატი სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე (მის:ოთახი A303, ი. ჭავჭავაძის გამზირი N32) **2020 წლის 18 თებერვალს** და უნდა იქონიოს:
ა) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის შემთხვევაში, გათანაბრების ცნობა დადასტურებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ან ხუთწლიანი უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან იმ შემთხვევში თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა- მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტობის კანდიდატის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულების აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

25. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, 2020 წლის 19 თებერვალს მიაწოდოს რექტორს იმ კანდიდატის მონაცემები, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება მისი გარე მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადების მიზნით;
26. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დევალოს, უზრუნველყოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების ვადის გასვლის თაობაზე

ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, საიდენტიფიკაციო მონაცემების შემცველი ინფორმაციის ვებ-გვერდიდან აღების უზრუნველყოფის მიზნით იმგვარად რომ ის აღარ იყოს ხელმისაწვდომი ინტერნეტ სივრცეში;

27. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

28. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

გიორგი გვალია

დეკანი